ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

(სახელმწიფო შესყიდვების შეახებ)

ქ. გორი 31 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებული- გუბერნატორის *ზურაბ რუსიშვილის* სახით და მეორეს მხრივ, *ი.მ დავით გოგიჩაშვილი* (შემდგომში - მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საფოსტო კონვერტების შესყიდვა (შემდგომში – საქონელი).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი და ფასების ცხრილი (CPV 301)

	საქონლის დასახელება	ერთეულის ფასი (თეთრი)	რაოდენობა	სულ ღირებულება
1	**კონვერტი დიპლომატი**	10	400	40

3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 40.00 (ორმოცი) ლარს.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა შორის საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის/სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საფოსტო კონვერტების გატანა განხორციელდება ი.მ. დავით გოგიჩაშვილისგან ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. N41

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: სოფიკო მიხანაშვილი - გუბერნატორის ადმინისრაციის აპარატის უფროსი.

4.3. საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი

5.1. საქონლის მიღების ადგილია: ქ. გორი სტალინის გამზ.#16

5.2. საქონლის მოთხოვნა/მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 აგვისტომდე.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

შემსყიდველი:

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის

მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის –

გუბერნატორის ადმინისტრაცია

ქ. გორი, სტალინის გამზ. 16

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა

ანგ. №200122900, კოდი №220101107

საიდენტიფ. კოდი №217889514

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

_____ ზ. რუსიშვილი

მიმწოდებელი:

ი.მ. დავით გოგიჩაშვილი

მის: ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. N 41

საიდენტიფიკაციო კოდი: 59001014198

ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკის" გორის ფილიალი

ბანკის კოდი: MIBGGE 22

ანგ. ნომერი: GE14PC0143600100031972

_____ დ. გოგიჩაშვილი